სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი

44826854504719

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191193408

რეგისტრაციის თარიღი

30.09.2019 წ

ნოტარიუსი: თამარ გეფერიძე
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას N76
ტელეფონი: 0322331867

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაათ სექტემბერს **მე, ნოტარიუს თამარ გეგურიძეს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. №76-ში, მომმართა **შპს <<ჯეი ჯ>>-ს (ს/კ 405057307) დირექტორმა დავით საგანელიძემ**. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავით საგანელიძემ** (დაბ. 01.10.1960წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, კოსტავას 75, ბინა 74, ბარათის №13IM92057, პირადი №01024006858, გაც. უსტიციის სამინისტროს მიერ 30.06.2015წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ჭკუდუნარიანობა, უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ ჭკუდუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ **დავით საგანელიძემ** ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **შპს << ჯეი ჯ>>-ს (ს/ნ 405057307)** (შემდგომში: **საზოგადოება**) **დირექტორი დავით საგანელიძე** (დაბ. 01.10.1960წ. თბილისში, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, კოსტავას 75, ბინა 74, ბარათის №13IM92057, პირადი №01024006858, გაც. უსტიციის სამინისტროს მიერ 30.06.2015წ.) ვნდობი: **სოფიო ბერიშვილს** პირადი № 01008050958, მასზედ რომ მან წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ქობილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქობილისის არქიტექტურის სამსახურში, ქობილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ქობილისის მერიის ჯონების მართვის სააგენტოში და ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში. ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოებში საზოგადოების სახელით შეიტანოს ნებისმიერი განცხადება და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება საკუთარი სურვილისამებრ.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური, 10 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39-ე მუხლისა) - სულ გადახდილია 12 ლარი და 00 თეთრი.

შპს <<ჯეი ჯ>>-ს დირექტორი

დავით საგანელიძე _____

ნოტარიუსი _____ თამარ გეგურიძე

ნოტარიუს თამარ გეგურიძის ბეჭედი